პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 229 (4999)
1973 წ.
21 ნოემბერი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვადამდე!

გორის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლიური გეგმა-ვალდებულება 15 ნოემბრისთვის გადაჭარბებით შეასრულეს. ქალაქში გეგმით ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი უნდა მომზადებულიყო და პირობა შესრულებულია. 8 სპორტის ოსტატის მაგიერ მოვამზადეთ 7, მომზადებულია, აგრეთვე, 15 სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

ყველა თანრიგის ნორმატივი შეასრულა 1855 კაცმა. გეგმა კი 1777-ს ითვალისწინებს.

ასევე გადაჭარბებით შესრულდა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების აღზრდის გეგმა.

მშდ კომპლექსის ყველა ნორმატივი წლეულს 1154 ფიზკულტურელმა ჩააბარა, რაც გეგმას 101 კაცით აღემატება.

**გ. მეჯანწიშვილი,**
გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

# ზუგდიდის „დინამო" — რესპუბლიკის ჩემპიონი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● „კოლხეთი" (ხობი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:3. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ამ მატჩს უნდა დაესახელებინა საქართველოს 1973 წლის ჩემპიონი ფეხბურთში: შეხვედრის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ამ წოდებას ზუგდიდელები მოიპოვებდნენ.

თამაში საინტერესო გამოდგა, თუმცა ამინდი ვერ იყო მთლად ხელსაყრელი. პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ, მე-20 წუთზე, კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს პირველმა მიუსწრო ზუგდიდელმა გულორდავამ და ანგარიში გახსნა, ხოლო 51-ე წუთზე მანვე მეორედ აიძულა ხობელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ცოტა ხანში ალმასიამ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო — 3:0.

უკვე მაშინ, როცა ზუგდიდელები ფაქტიურად რესპუბლიკის ჩემპიონები იყვნენ, 89-ე წუთზე, პრესტიჟის გოლი გაიტანა ნ. გვასალიამ.

ზუგდიდელები მეორედ ხდებიან საქართველოს ჩემპიონები.

● „მეტალურგი" (რუსთავი)— „ეგრისი" (ცხაკაია) 5:2. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

მეტალურგების ხუთ გოლს (კონიაშვილი — 2, კაჭახიძე, მიქაშავიძე, კენკიშვილი) სტუმრებმა მხოლოდ ორით უპასუხეს (ორივე — ლ. დარასელია).

● „მეშახტე" (ტყიბული) — „ივერია" (ხაშური) 5:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გოლები გაიტანეს თოდიძემ (2), ბოჭორიშვილმა (2) და გამყრელიძემ.



● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „სულორი" (ვანი) 8:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

ანგარიში მე-9 წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გახსნა ვანელმა ნუცუბიძემ. ეს გოლი მალე გაქვითა კაციტაძემ, შემდეგ კი აბაშიძემ და შელიამ კიდევ ორჯერ აიღეს „სულორის" კარი.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ვანელი ო. ნიკოლეიშვილი.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — ასკ (თბილისი) 2:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

კაჭახიძისა და მიქაშავიძის მიერ გატანილ ორ ბურთს არმიელებმა ვერაფრით უპასუხეს.

● „ივერია" (ხაშური) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:3. მსაჯი მ. ოგანიანი (თბილისი).

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:4. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

● ასკ (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 4:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

არმიელებს თავიდანვე სრული უპირატესობა ჰქონდათ, რაც დამთავრდა პოლტაჩიდისა და დარჯანიას მიერ გატანილი გოლებით. შემდეგ გუნდი კიდევ უფრო დაწინაურდა (ასატუროვი, ლომიძე), სტუმრებმა კი ამ ოთხ გოლს მხოლოდ ერთით უპასუხეს (ჩელებაძე).

არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს არმიელთა კაპიტანი ტ. ილურიძე.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „კახეთი" (თელავი) 4:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

გორელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. მათმა თავდამსხმელმა მღებრიშვილმა ტაიმის დასასრულისთვის ორი გოლი გაიტანა თელაველთა კარში, ხოლო შემდეგ ქერდიკაშვილმა სამამდე გაზარდა ანგარიში. მატჩის ბოლომდე ცირეკიძემ ერთი ბურთით შეძლო სხვაობის შემცირება, მაგრამ ბოლო წუთებზე ბაქრაძემ კიდევ ერთხელ აიღო „კახეთის" კარი.

● „სამცხე" (აწყური) — „მარტვილი" (გეგეჭკორი) 1:4. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

თავი გამოიჩინა გაგუამ, რომელმაც ოთხივე ბურთი გაიტანა „სამცხის" კარში.

წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან აწყურელი ნ. ბარძიმაძე და გეგეჭკორელი ნ. სურმავა.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სულორი" (ვანი) 3:1. მსაჯი ბ. ხარატიშვილი (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 8:3. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

### II ჯგუფი

გალის „მზიურს" მოგება ჩაეთვალა ოჩამჩირის „ამირანთან", ხოლო თბილისის „შევარდენს" — ვაზისუბნის „მევენახესთან".

### ზონალური პირველობა

ქუთაისის „ავიატორმა" წააგო კასპის „მეცემენტესთან" — 2:3. ბოლნისის მადნეულის კომბინატის გუნდს მოგება ჩაეთვალა ლანჩხუთის „კოლმეურნესთან".

### საბოლოო ცხრილები

### II ჯგუფი

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფარძია" (ასპინძა) | 24 | 18 | 4 | 2 | 51—21 | 40 |
| „ავტომობილისტი" (ცხინვალი) | 24 | 16 | 6 | 2 | 55—34 | 38 |
| „ბანთიანდი" (ბორჯომი) | 24 | 13 | 9 | 2 | 46—26 | 35 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 24 | 7 | 11 | 6 | 43—36 | 25 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 24 | 9 | 6 | 9 | 56—46 | 24 |
| „კოლმეურნე" (ტიბაანი) | 24 | 9 | 5 | 10 | 41—43 | 23 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 24 | 10 | 3 | 11 | 48—53 | 23 |
| „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) | 24 | 9 | 4 | 11 | 48—40 | 22 |
| „რუბეროიდი" (გარდაბანი) | 24 | 6 | 7 | 11 | 47—37 | 19 |
| „ცინწვისი" (ქარელი) | 24 | 6 | 5 | 13 | 38—52 | 17 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 24 | 5 | 7 | 12 | 23—48 | 17 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 24 | 5 | 6 | 13 | 37—60 | 16 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 24 | 4 | 5 | 15 | 28—65 | 13 |

#### II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 28 | 22 | 3 | 3 | 66—18 | 47 |
| ხდკ (სამტრედია) | 28 | 16 | 9 | 3 | 66—34 | 41 |
| „ფეიქარი" (ქუთაისი) | 28 | 16 | 7 | 5 | 52—36 | 39 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 28 | 15 | 7 | 6 | 61—33 | 37 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 28 | 14 | 9 | 5 | 46—22 | 37 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 28 | 14 | 8 | 6 | 55—31 | 36 |
| „დიოსკურია" (სოხუმი) | 28 | 12 | 8 | 8 | 33—24 | 32 |
| „სკური" (წალენჯიხა) | 28 | 12 | 6 | 10 | 38—40 | 30 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 28 | 6 | 10 | 12 | 41—47 | 22 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 28 | 7 | 8 | 13 | 34—52 | 22 |
| „განახლება" (ადიგენი) | 28 | 9 | 3 | 16 | 27—49 | 21 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 28 | 3 | 10 | 15 | 17—44 | 16 |
| „მზიური" (გალი) | 28 | 6 | 4 | 18 | 26—59 | 16 |
| „კოლმეურნე" (აბაშა) | 28 | 3 | 8 | 17 | 21—71 | 14 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 28 | 3 | 4 | 21 | 22—45 | 10. |

# მარტო პორუჩიკი მიაბიჯებს მწყობრად

ვენა, 19 ნოემბერი („პრავდის" საკ. კორ.). მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა მხარს უჭერს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნას, რომ საბჭოთა და ჩილიელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი სანტიაგოს სტადიონიდან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გადაიტანონ. როგორ ხვდება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) ხელმძღვანელობა მრავალრიცხოვან პროტესტს იმ გადაწყვეტილების გამო, რომ მატჩი მაინც სანტიაგოში უნდა ჩატარდეს? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად მე დავრეკე ციურიხში, ფედერაციის შტაბ-ბინაში. ტელეფონთან მოვიდა ფიფა-ს გენერალური მდივანი ჰელმუტ კაიზერი.

— ბატონო კაიზერ, ფიფა-ს მიერ დამტკიცებულ წესებში არის პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ მატჩი შეიძლება არ ჩატარდეს ან გადაიტანონ საგანგებო შემთხვევაში. როგორ ესმის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას ეს პუნქტი? განა ის ამბავი, რომ სულ ბოლო დრომდე სანტიაგოს სტადიონის ტერიტორიაზე საკონცენტრაციო ბანაკი იყო, საგანგებო შემთხვევა არ არის? თქვენ ხომ პუტჩის 7 დღეს იყავით ჩილის დედაქალაქში და თქვენი თვალით ნახეთ ყველაფერი...

— დიახ, მე ვიყავი სტადიონზე, სადაც საკონცენტრაციო ბანაკი იყო, — მიპასუხა კაიზერმა. — მაგრამ საჭიროა გავერკვეთ, როგორ გვესმის საკონცენტრაციო ბანაკი. სტადიონის მინდორზე იყო ბანაკი, სადაც ხალხის გარკვეული რაოდენობა ჰყავდათ დაკავებული, მაგრამ იყო თუ არა ეს ნამდვილი საკონცენტრაციო ბანაკი ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნით?

როგორც ჩანს, კაიზერს ეშინოდა იმის გახსენება, რომ ამ სტადიონზე ხალხი დახვრიტეს, და მყისვე გადაწყვიტა საუბარი სხვა გზით წარემართა.

— 12 ოქტომბერს, — თქვა მან, — ფიფა-ს პრეზიდენტმა გაგვაცნო წერილი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა, რომელიც მატჩის მესამე ქვეყანაში გადატანას მოითხოვდა. იმავე სხდომაზე ჩილის წარმომადგენელმა წარმოადგინა თავისი მთავრობის წერილობითი გარანტია (როგორც ჩანს, „მთავრობაში" კაიზერი ხუნტას გულისხმობდა. — ი. მ.), რომ მატჩზე ჩასულ ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და ჟურნალისტებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდათ.

— ბატონო კაიზერ, თქვენ ხშირად გითქვამთ, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. მაგრამ განა სანტიაგოს სტადიონზე გამართული მატჩი პოლიტიკურ დემონსტრაციად არ იქცეოდა, რაკი არაპირდაპირ მაინც ხუნტას დაუჭერდა მხარს?

— არა, არა! — მომიგო კაიზერმა. — ჩვენ არავითარ პოლიტიკურ პოზიციას არ ვიცავთ, ჩვენ მხოლოდ ფიფა-ს წარმომადგენლები ვართ.

— კი მაგრამ, თქვენ არ გაფიქრებთ ის ამბავი, რომ საფრანგეთის, შვეციის, ჰოლანდიის და დასავლეთის ბევრი სხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციები პროტესტს აცხადებენ ფიფა-ს პოზიციის გამო და ამბობენ, რომ აუცილებელია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სესიის მოწვევა?

— საპროტესტო კამპანია შეიძლება მართო, შეიძლება მოაწყო... აღმასკომის საგანგებო სხდომის მოწვევა კი ფიფა-ს პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოითხოვენ, სულ ცოტა, ორი კონტინენტის ეროვნული ფედერაციები.

როგორც ჩანს, კაიზერი მზადაა ფიფა-ს წინააღმდეგ „შეთქმულებაში" ბრალი დასდოს თავის კოლეგებსაც კი დასავლეთის ქვეყნებიდან. აი, სწორედ ამაზე ითქმის: მთელ ასეულს ფეხი აერია, მარტო პორუჩიკი მიაბიჯებს მწყობრადო. ოღონდ საინტერესოა, ვის ბრძანებაზე დააბიჯებს ბატონი კაიზერი?

**ი. მელნიკოვი.**

## საკდესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### მწვერვალებს იპყრობენ

*ტაჯიკმა საამსვლელებმა თავიანთი მარშრუტების რუკაზე ახალი პიკი შეიტანეს. მათ მდინარე სიამის სათავეში უსახელო მწვერვალი დაიპყრეს და გადაწყვიტეს მას „ უროჯაი" დაარქვან.*

*ასვლა მოეწყო ტრადიციული საშემოდგომო ალპინიადის დღეებში. ტაჯიკ სპორტსმენებთან ერთად ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ფრუნზელი მთამსვლელები და დოსააფის პარაშუტისტები, რომელთაც მთის მწვერვალების დაპყრობა შეტანილი ჰქონდათ... თავიანთ საერთო ფიზიკური მომზადების პროგრამაში.*

**ლ. ჩიგრინი.**

დუშანბე.

### ლაშქრობიდან ნიშნოსნებად დაბრუნდნენ

მასობრივ-ტურისტულ ლაშქრობაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ვილნიუსის სამშენებლო ტექნიკუმის ათასამდე მოსწავლე ჩაება. ვილნიუსის გარეუბანში ერთმანეთს ეჯიბრებოდა სხვადასხვა კურსისა და ჯგუფის 50 გუნდი.

ლაშქრობიდან 76 მონაწილე შინ მშდ კომპლექსის ნიშნოსნად დაბრუნდა — მათთვის ეს ბოლო სახეობა იყო.

ამიერიდან საშემოდგომო „ტურისტის დღე" ტრადიციად იქცევა.

**ს. ვაინტრაუბასი.**

ვილნიუსი.

### თქვენთვის, სპორტსმენებო!

სმოლენსკის ახალგაზრდობამ ახალსახლობა იზეიმა სასროლო-სპორტული კლუბის შენობაში. ახალ ტირში ერთდროულად 24 კაცს შეუძლია ვარჯიში.

კლუბის შენობა დოსააფის ლატარიის შემოსავლით აიგო. ამავე სახსრებით ერთი წლის უკან აიგო შენობები და გარაჟები ავტო-მოტო- და საავიაციო-სპორტული კლუბებისთვის. სამივე კლუბი ერთმანეთის გვერდით მდებარეობს და პატარა სპორტულ ქალაქს ქმნის.

სმოლენსკში ახლა ბევრი სპორტული მშენებლობაა გაშლილი. მაგალითად, მანქანათსაშენი ქარხანა თავისი ფიზკულტურელებისთვის აგებს საცურაო აუზს, სამრეწველო რაიონში შენდება ახალი სპორტული დარბაზი.

**ხ. ხაიკინი.**

სმოლენსკი.

## მაღალი შედეგებით

*ვოროშილოვგრადი, 20 ნოემბერი. ირკუტსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა, მშვილდოსანმა ე. კუზმინოვამ „ბურევესტნიკის" საკავშირო შეჯიბრების ფინალში 60 მეტრიდან სროლაში 329 ქულა დააგროვა, რაც 5 ქულით სჯობს მსოფლიო რეკორდს. ამავე მანძილზე, მაგრამ 72 ისრით, კუზმინოვამ 647 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი 20 ქულით აღემატება მსოფლიო ჩემპიონატებში ნაჩვენებ უმაღლეს მიღწევას.*

## რაიონებში სპორტსმენები

### ზესტაფონი

1959-1961 წლებში დაბადებულ მოსწავლე კალათბურთელთა ასპარეზობაში მონაწილეობდა გოგონათა და ჭაბუკთა 6-6 გუნდი. გოგონათა ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მე-4 საშუალო სკოლის ქართული და რუსული სექტორების გუნდები. გაიმარჯვეს ქართული სექტორის კალათბურთელებმა — 42:11. ჭაბუკთა ფინალური მატჩი ქალაქის 1-ლი და მე-4 საშუალო სკოლების გუნდებს შორის მეოთხესკოლელებმა მოიგეს — 22:18.

**ა. ზანუგრაშვა.**

# მოწინავეებს უნდა გაუთანაბრდნენ

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

საწარმოებში, დაწესებულებებში, მშენებლობებზე შექმნილი „განთიადის“ 800-ზე მეტი ფიზკულტურული კოლექტივი, 400 ათასამდე კაცს აერთიანებს. მათთან მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება დაუღალავ, უნარიან ხელმძღვანელობას და დროულ კონტროლს მოითხოვს.

„განთიადის“ ცენტრალური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოებიც. სწორედ ამისთვის არიან მოწოდებული. ისინი პარტიისა და მთავრობის, ზემდგომი ფიზკულტურული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყველა გადაწყვეტილებას დროულად ეხმაურებიან, იბრძვიან ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის.

ასეა მშდ ახალი კომპლექსის შემოღების შემდეგაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ახალი ნორმატივების შემოღების შესახებ პირველივე დღიდან სახელმძღვანელოდ იქცა ჩვენი საზოგადოების ყველა რგოლისთვის.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური ღონისძიებანი გაატარა: გაიშალა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, კოლექტივებში, ოლქებში, ქალაქებში, რაიონებში შეიქმნა მოსამზადებელი ჯგუფები, ნორმატივების მიმღები კომისიები. იმავე წლის მარტში, როცა ნორმატივების ჩაბარება დაიწყო, სტარტზე ათასობით განთიადელი გამოვიდა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას. თავდაპირველად ფიზკულტურულ მუშაკთა სემინარებზე 1200-ზე მეტი სპეციალისტი მომზადდა. ახლა, ფაქტიურად, ეს კადრებია ჩვენი ძირითადი დასაყრდენი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის გამართულ შეჯიბრებებში.

პირველ ნაბიჯებს ახალი ძვრები მოჰყვა, მშდ კომპლექსის სასწავლო სპეციალური ჯგუფების ჩამოყალიბების შემდეგ მთავარი ყურადღება ამ ჯგუფების სათანადო ბაზებითა და ინვენტარით უზრუნველყოფას მიექცა. შარშან განსაკუთრებით კარგად იმუშავეს თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის, საავეჯო კომბინატ „განთიადის“, აბრეშუმის ფაბრიკის, სამკერვალო ფაბრიკების, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის, მაუდ-კამვოლის კომბინატისა და სხვა საწარმოთა ფიზკულტურული ორგანიზაციების მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღებმა კომისიებმა. მოწინავე კოლექტივები მთელი წლის მანძილზე რეგულარულად აწყობდნენ შეჯიბრებებს მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, ტურისტულ ლაშქრობებს.

კარგად იმუშავეს, აგრეთვე, რესპუბლიკის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის (თავმჯდომარე ე. დავთაძე), ქვანახშირის მრეწველობის (ყოფილი თავმჯდომარე ნ. ვაშაძე), ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის (თავმჯდომარე დ. ბაკურაძე) მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა.

სულ შარშან მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში „განთიადის“ რამდენიმე ათეული ათასი კაცი ჩაება. დაინტერესებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების თაოსნობით თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც ყოველდღე მზად იყო ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად ჩამბარებლებისგან მშდ კომპლექსის ნორმატივები მიეღო.

საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ კარგად ორგანიზებულმა ღონისძიებებმა „განთიადს“ საშუალება მისცა შარშან გეგმის გადაჭარბებით მოემზადებინა 1409 ნიშნოსანი.

წლეულს კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებაში 40 ათასზე მეტი კაცი ჩავაბით. მათგან 9000-მდე კაცმა განვლილი ათი თვის განმავლობაში ნორმატივები უკვე მთლიანად ჩააბარა და მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანიც მიიღო. 3000-ზე მეტ მუშას და მოსამსახურეს სადღეისოდ 7-8 სახეობა აქვს ჩაბარებული, კიდევ 3000-მდე კაცს — 5-6 სახეობა. დეკემბრის ბოლომდე ჯერ კიდევ დიდი დროა, რაც საშუალებას გვაძლევს ნიშნოსნების მომზადების წლევანდელი გეგმაც გადაჭარბებით შევასრულოთ. მართალია, წლის დამდეგს დაშვებული გეგმა (11000 ნიშნოსანი) ზემდგომმა ორგანოებმა ერთი თვის უკან 3000 კაცით გაგვიდიდეს, მაგრამ ნაყოფიერი მუშაობა, იმედია, ამ გეგმის შესრულების საშუალებასაც მოგვცემს.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმე წლეულსაც განსაკუთრებით კარგად იმ ორგანიზაციებშია, სადაც დირექცია სათანადოდ აფასებს შრომისნაყოფიერების ზრდაში ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობას, მშრომელთა გაკაჟებისთვის, ფიზიკური წრთობისთვის სათანადო პირობებს ქმნის, სადაც დირექცია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მშრომელებს ნორმატივების ჩაბარებაში პირადად აძლევენ მაგალითს.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას სათავეში ქარხნის დირექტორის მოადგილე, სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე გ. ხიტურიძე ჩაუდგა. მან ნორმატივი ჯერ ცურვაში ჩააბარა, მერე — კომპლექსით გათვალისწინებულ სხვა სახეობებში. ახლა ნორმატივების ჩაბარებაში კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა 50 პროცენტია ჩაბმული. სპორტკლუბის ბაზების კარი მუდამ ღიაა, მარტო თანამშრომლებისთვის კი არა, მეზობელი საწარმოების ფიზკულტურელებისთვისაც.

მშდ კომპლექსის პროპაგანდისა და ნორმატივების ჩაბარების საქმე კარგადაა დაყენებული აბრეშუმის კომბინატში (დირექტორი დ. მამუჩაშვილი), ჰიდრომეტხელსაწყოების ქარხანაში (ს. ჩიქოვანი), ქარხანა „ელექტროაპარატში“ (ტ. ჯვარშეიშვილი), ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში (რ. კუპრავა), აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავის, სამტრედიის, მახარაძის, ტყიბულის, გორის, ზესტაფონის მთელ რიგ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

მაგრამ ისე ნუ წარმოიდგენთ, თითქოს განთიადელებს ამ საქმეში ნაკლოვანებები არ ჰქონდეთ. ჯერ კიდევ ბევრია კოლექტივი, რომელთა ხელმძღვანელებიც საწარმოო გეგმების შესრულებისთვის ბრძოლაში ფიზკულტურისა და სპორტის როლს ვერ აფასებენ. ასეთი ხელმძღვანელები არც მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის ზრუნავენ, არც მშდ კომპლექსის პროპაგანდისთვის.

საქართველოს სასურსათო მანქანების სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში 500-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა, მათ შორის ფიზკულტურული მუშაობის გაშლისთვის კი არავინ ზრუნავს, საქმისადმი დირექციის გულგრილობის შედეგია, რომ ბიუროში მშდ კომპლექსის არც ერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ. ფიზკულტურული კოლექტივი აქ ფორმალურად არსებობს, საბჭოს სხდომები არ ტარდება, სასწავლო-სპორტული მუშაობა ჩაშლილია, შეჯიბრებები არ ეწყობა, საწარმოო ტანვარჯიში დავიწყებას მიეცა, ბიუროს დირექტორს გ. გრიგალაშვილს კი ყველაფერი ეს ოდნავადაც არ აწუხებს.

თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში (დირექტორი ლ. ნამგალაძე) ადმინისტრაციამ ფიზკულტურის სპეციალისტი სამსახურიდან დაითხოვა, შტატი კი გააუქმა, რის გამოც 8 თვეზე მეტია არავითარი ფიზკულტურული მუშაობა არ ტარდება.

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენი ქარხნის ახალგაზრდებმა ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარედ ამ საწარმოს დირექტორი გ. კილაძე აირჩიეს. მაგრამ... მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ჩაშლამდე მივიდა, მშდ კომპლექსის ყველა ნორმატივი კი წლეულს ერთ კაცსაც არ ჩაუბარებია. საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძეს ფიზკულტურის განვითარებისთვის ზრუნვად მარტო კომიტეტის სხდომებზე საკითხის მოსმენა მიაჩნია, პრაქტიკულად კი შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერი კეთდება.

ანალოგიური სურათია ქუთაისის საავეჯო ფაბრიკასა (დირექტორი ლ. კოღუაშვილი) და ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში (ვ. იობიძე).

მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში საგრძნობლად ჩამორჩებიან „საქელექტრომონტაჟის“, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის, ჟინვალჰესის, აგარის შაქრის კომბინატის, თბილისის მოდების სახლის, ქარხანა „ელექტროავტომატისა“ და სხვა კოლექტივები.

მშდ ახალი კომპლექსის შემოღება მოსახლეობის გაჯანსაღებისთვის ზრუნვითაა ნაკარნახევი. მის დიდ როლსა და მნიშვნელობაზე, ვფიქრობთ, ლაპარაკი საჭირო აღარ უნდა იყოს. ყველას, ვისაც მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ზრუნვა ევალება და ამ დავალებას აბუჩად იგდებს, სათანადო პასუხი უნდა მოვთხოვოთ.

**ტ. კიკნაველიძე,**
„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.

# ვინ არის დამნაშავე?

მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში იდგა და ახლაც დგას ერთი საშუალო სკოლა. ერთ დროს ამ სკოლას, უბრალოდ, მეთვრამეტეს ეძახდნენ, ახლა კი მას თბილისის გ. ტაბიძის სახელობის 51-ე სკოლა ჰქვია. ამ სკოლის დიდ ეზოში ხშირად ნახავდით მობურთალ ბიჭებს, რომელთაგანაც შემდგომში ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი, კალათბურთელი და ფრენბურთელი აღიზარდა. ასე იყო დიდი სამამულო ომის დაწყებამდე და მის შემდგომაც. იყო ეზო — ნორჩ სპორტსმენთა სარბიელი, და პატარა დარბაზი, სადაც ფიზაღზრდის გაკვეთილები ტარდებოდა. ეს დარბაზი, რომლის ფართობიც სულ რაღაც 60 კვადრატული მეტრია, ახლაც უწევს მოსწავლეებს ერთგვარ სამსახურს. ერთგვარს იმიტომ, რომ დარბაზი ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლის შენობა გაფართოვდა, მოსწავლეთა კონტინგენტი გაიზარდა, ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის პირობები კი გაუარესდა. ჯერ მომიჯნავე ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის, ხოლო შემდეგ ამავე სკოლის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლებმა სკოლის ეზო სამშენებლო მასალებისა და სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობის „საწყობად“ აქციეს.

ერთი სიტყვით, ამ ბოლო წლებში სკოლის სპორტსმენებს ნორმალური მეცადინეობის პირობები არ გააჩნდათ. ფიზაღზრდის მასწავლებლებმა გამონახეს გამოსავალი და ნორჩებს კიროვის პარკის სპორტმოედნებზე ავარჯიშებენ, იქ ამზადებენ მოსწავლეებს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ, თუ ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეებს კეთილმოწყობილი სპორტდარბაზები და მოედნები არ ექნათ, ისე წარმატებებს ვერ მოიპოვებენ. ასეთი პირობები კი სკოლას ექნებოდა, მშენებლებს დაპირება რომ შეესრულებინათ.

ახალი სასწავლო წლისთვის მთავართბილმშენის № 18 ტრესტის (მმართველი ქ. უკლება) მეორე სამშენებლო სამმართველომ (უფროსი გ. კოზაევი) მხოლოდ სასწავლო კორპუსი ჩააბარა მოსწავლეებს, სპორტდარბაზის კორპუსის საძირკველისთვის თხრილის ამოღება კი ჯერაც არ დამთავრებულა. მშენებლებმა პირობა დადეს, რომ 1974 წლის 1 იანვრისთვის სპორტდარბაზის აშენებას დავამთავრებთო, მაგრამ სექტემბრის შუა რიცხვებიდან სამუშაოები შეწყდა. თვეზე მეტ ხანს თხრილთან უქმად იდგა ექსკავატორი, რომელიც 19 ნოემბერს აქაურობას საერთოდ მოაშორეს. გამოუყენებელია სკოლის ტერიტორიაზე მოტანილი სხვადასხვა სამშენებლო მასალა. გამკითხავი კი ჯერ არ ჩანს.

მშენებლები სპორტდარბაზის საძირკვლისთვის თხრილის ამოღების გაჭიანურებას თბილისის მექანიზაციის სამმართველოს (უფროსი დ. ლლონტი) აბრალებენ.

სპორტულ ბაზებს მოკლებულ მოსწავლეებს სულ არ აინტერესებთ მიზეზები და არც სადავო საკითხების გარკვევაა მათი საქმე. სჯობს ყველა, ვისაც სპორტდარბაზის მშენებლობა ავალია, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს დაკისრებულ საქმეს და მოსწავლეთა კანონიერი მოთხოვნა დროულად დააკმაყოფილოს.

დრო კი არ ითმენს, მშენებლებო! განა შეიძლება მხოლოდ დაპირებით ფონს გასვლა!? თქვენგან მოსწავლეებიც და რედაქციაც კონკრეტულ საქმეებს ელიან.

**ჯ. ენუქიძე.**

თბილისი, ოდესა, მოსკოვი

# ჩიტი ბდღვნად ღირდა

ვაჟთა შორის სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩის მონაწილეებმა გუშინწინ ჭადრაკის სასახლეში III პარტიები ითამაშეს (ფრჩხილებში მოცემულია მინიმატჩების საერთო ანგარიში).

ლ. ალბურტი (ოდესა) — ა. ლუკინი (ლენინგრადი) 0,5.0,5 (1:2), გ. ტიმოშჩენკო (ნოვოსიბირსკი) — დ. ბრონშტეინი (მოსკოვი) 0:1 (1:2), ო. რომანიშინი (ლვოვი) — ა. გიპსლისი (რიგა) 0,5.0,5 (1,5:1,5), ა. პანჩენკო (ჩელიაბინსკი) — ა. ზახაროვი (დონის როსტოვი) 0,5:0,5 (0,5:2,5).

ბრონშტეინმა საგონებელში ჩააგდო ტიმოშჩენკო, როცა პირველ სვლაზე 20 წუთს იფიქრა. ახალგაზრდა ნოვოსიბირსკელი ოსტატი გაკვირვებული ბოლთას სცემდა. რაზე ფიქრობდა დიდოსტატი, რომელსაც მოგება სწყუროდა?

დებიუტების თანამედროვე თეორიაში ძნელია რაიმე ახალი მოიგონო. ყველაფერი სიგრძე-სიგანითაა შესწავლილი, მაგრამ არის ნაკლებად დამუშავებული პოზიციებიც და მათი მიღება დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ბრონშტეინი კი იხსენებდა ერთ-ერთ ასეთ მძაფრ პოზიციას, რომელიც მისი მეტოქისთვის უცნობი იქნებოდა. მან არჩევანი უფიმცევის დაცვაზე შეაჩერა.

დიდოსტატმა ტიმოშჩენკოს პაიკებს სოლივით შეჭრის შესაძლებლობა მისცა, მერე მხედარიც შემოუშვა, თავად კი პაიკთა მდგრადი ცენტრი მიიღო. პოზიცია უკიდურესობამდე დაიძაბა. როცა ტიმოშჩენკომ იერიშისთვის ხაზების გახსნა დააპირა, ბრონშტეინმა ხარისხი შესწირა და თამაში უფრო გაამწვავა.

ნოვოსიბირსკელი ოსტატი ბრძოლის სიმძაფრემ აიყოლია. მან ფიგურა შესწირა, მაგრამ ბრონშტეინი წარმატებით იგერიებდა მუქარას. თანდათან ტიმოშჩენკოს ინიციატივა გაქრა. მისი ორი ეტლის წინააღმდეგ დიდოსტატის ეტლი და ორი კუ იბრძოდა. მოგება შორს აღარ იყო.

— დიდი რისკი გავწიე, შეიძლება წამეგო კიდეც, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ღირდა, — თქვა კმაყოფილმა ბრონშტეინმა.

როგორც იქნა, პანჩენკომ უპირატესობა მიიღო ზახაროვთან. მოგება მას ნახევარფინალის საგზურის მოპოვების შანსს აძლევდა, მაგრამ როსტოველი მოჭადრაკის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მართალია, ბოლოს ეტლების ენდშპილში პანჩენკოს ზედმეტი პაიკი დარჩა, მაგრამ მისი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მშვიდად მიმდინარეობდა გიპსლისისა და რომანიშინის შეხვედრა. ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონმა სტრატეგიულად უკეთესი პოზიცია ააგო, მაგრამ დიდოსტატმა შეუპოვარი დაცვით თვალსაჩინო კონტრთამაში განავითარა. რომანიშინს უპირატესობა შემოეცალა, მაგრამ პარტია მაინც გადადო. იმავე საღამოს ანალიზმა დაარწმუნა, რომ მოგება აღარ იყო.

უკრაინის ორგზის ჩემპიონი ალბურტი ჯიქურ უტევდა ლუკინს. მისმა გაუფრთხილებელმა თამაშმა უპირატესობა ლენინგრადის ექს-ჩემპიონს ლუკინს მოუტანა, მაგრამ ენდშპილში ლუკინმა უსწორო სვლით ნადავლი დაკარგა. ახლა მოგების გზას ალბურტი ეძებდა, მაგრამ ამაოდ. 69-ე სვლაზე იგი ყაიმს შეურიგდა.

**თ. გიორგაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.



სურათზე: დიდოსტატი დ. ბრონშტეინი ხეირნობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# მაიამ პარტია გადადო

**ოდესა**, 20 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ სსრ კავშირის თასის მაძიებელ ქალთა მეოთხედფინალურ მატჩებში მესამე პარტიები გათამაშდა.

ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი) დამარცხდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ტ. ზვორიკინასთან (მინსკი). ახლა მათი მატჩის ანგარიშია 2:1 თბილისელი მოჭადრაკის სასარგებლოდ. ოსტატი ლ. სემიონოვა (კიევი) დაუზავდა ლ. მულენკოს (ზაპოროჟიე) — 2,5:0,5. სემიონოვამ მოიპოვა ნახევარფინალური მატჩის საგზური.

ორი პარტია გადაიდო. მ. ჩიბურდანიძეს (თბილისი) მ. ოსტროვსკაიასთან (მოსკოვი) მოსაგები პოზიცია აქვს. რთულ პოზიციაში შეწყდა მ. რანიკუ (ტალინი) — რ. ბილუნოვას (მოსკოვის ოლქი) შეხვედრა.

**ნ. სოროკინი,**
სპორტის ოსტატი.

### სპორტსმენი ტოვებს სარბიელს

# მოფარიკავის ბედი

იშვიათად თუ მოუპოვებია რომელიმე მოფარიკავეს ისეთი დიდი გამარჯვებები საერთაშორისო სარბიელზე, როგორიც გურამ კოსტავამ მოიპოვა თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე.

გურამი ტანმაღალი, ცისფერთვალა, მტკიცე გამომეტყველების მქონე მოფარიკავეა. როცა მის ახალგაზრდულ მიმოხვრას აკვირდები, ვერ იტყვი, რომ იგი უკვე 36 წლისაა. გურამი ჭაბუკურად გამოიყურება. ეს იგრძნობა არა მარტო ცხოვრებაში, არამედ სპორტულ სარბიელზეც. ბრძოლის მიმდინარეობა, მისი შედეგი დღესაც ისევე აღელვებს (ხანდახან წონასწორობიდანაც კი გამოჰყავს), როგორც მრავალი წლის წინათ. ცუდია ეს თუ კარგი? ამაზე დაე, მკითხველმა იმსჯელოს. მე კი შევეცდები მოკლედ გავაცნო მას გურამ კოსტავას ბიოგრაფიის ზოგიერთი საგულისხმო მომენტი.

გურამისთანა სპორტსმენი მწვრთნელებს უყვართ. იგი ადრე მოვიდა ფარიკაობაში და პირველივე ნაბიჯებიდან აჩვენა მწვრთნელს, რისი გაკეთებაც შეეძლო. მონაცემები საუცხოო ჰქონდა, შრომისმოყვარეობა დიდი. კიდევ რა სჭირდება ახალბედა მოფარიკავეს? ძალიან ბევრი რამ. ეს უკვე გურამს მწვრთნელ ტრიფონ მესხისგან უნდა ესწავლა.

მასწავლებელმა და მოწაფემ მალე გაუგეს ერთმანეთს. დინჯად, მეთოდურად უსწორებდა მწვრთნელი გურამს ყოველ შეცდომას. მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ შრომისმოყვარეობა, თუნდაც კოლოსალური და ტიტანური ვარჯიშის უნარიც კი მსოფლიო კლასის სპორტსმენად ვერ გაგხდის. აქ უკვე საჭიროა უნიკალური პიროვნული თვისებები, რაც ათასობით და შეიძლება ასიათასობით სპორტსმენს შორის უპირატესობას მოგანიჭებს.

გურამს ბედმა გაუღიმა. მოფარიკავეები მასზე ამბობენ: ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო. იქნებ მართლაც ასეა? ბუნებამ გურამი დააჯილდოვა სისწრაფით, ელასტიკურობით, დიდი ფიზიკური ძალით, ჭეშმარიტი სპორტული აზარტით, უჩვეულო კოორდინაციით. ამ თვისებების შესაძენად მოფარიკავეს ხშირად მთელი სპორტული ბიოგრაფიაც კი არ ჰყოფნის. მაგრამ ნიჭიერება ნიჭიერებად, და გურამზე ვერავინ იტყვის, თითქოს ოდესმე ვინმეზე ნაკლები ევარჯიშოს. ხანდახან ხდება ძნელად დასაჯერებელი კაზუსი: ძლიერი, ფენომენალური მონაცემებით დაჯილდოებული სპორტსმენი გაცილებით მეტს ვარჯიშობს, ვიდრე მისი შედარებით სუსტი კოლეგა. წლების მანძილზე გურამს ვერ წარმოუდგენია საკუთარი თავი საფარიკაო დარბაზისა და ყოველდღიური ვარჯიშის გარეშე. მაგრამ ვარჯიშიც არის და ვარჯიშიც! ერთხელ მაინც დაესწარით მის წვრთნას, ნახეთ ოფლისგან გაშავებული მისი საფარიკაო კოსტიუმი, დაღლილობისგან ჩაცვენილი თვალები და იგრძნობთ, რა ძნელია ასვლა საფარიკაო ოლიმპზე.

და მაინც, გურამი მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. ალბათ არასდროს აღარ შეიყვანენ სსრ კავშირის ნაკრებში შედარებით ახალბედა სპორტსმენს ისე მოულოდნელად, როგორც კოსტავა შეიყვანეს. ეს იყო 1958 წელი. იმ პერიოდის საკავშირო შეჯიბრებებში გურამს არ გაუმარჯვნია და, რაც ყველაზე საკვირველია, საპრიზო ადგილიც კი არ მოუპოვებია. მაგრამ მწვრთნელებს იგი მაინც შეჰყავთ რჩეულთა ნაკრებში. არ იკითხავთ, ვის მაგივრად? კოსტავა იკავებს სახელოვანი ქართველი მოფარიკავის რევაზ ცირეკიძის ადგილს. მართლაც სიმბოლურია თაობათა ეს ესტაფეტა. ერთი მოფარიკავის ნაცვლად, რომელიც სამწუხაროდ, ნაადრევად ტოვებს დიდ სპორტს, მოდის მეორე, ჯერ კიდევ გამოუცდელი, მაგრამ დიდი მიზნებით აღსავსე...

აქედან იწყება გურამ კოსტავას თავბრუდამხვევი სპორტული კარიერა. ათი წლის მანძილზე იგი უცვლელად იყო ნაკრების შემადგენლობაში, აღწევდა განსაცვიფრებელ შედეგებს, მოიარა ხუთივე კონტინენტი და საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მუშკეტერის სახელი მოიხვეჭა. იგი ჰგავდა შუა საუკუნეების რაინდს, რომელიც დაუღალავად მონაწილეობს ტურნირებში, აღწევს გამარჯვებებს და თითქმის არ მარცხდება. იცით კი რას ნიშნავს ფარიკაობაში ასეთი სტაბილურობა? ხუთ, იქნებ ათ სპორტსმენს მოუყრით თავი ფარიკაობის ისტორიაში, წლების მანძილზე დაბლა რომ არ დაშვებულა, დამარცხების სიმწარე არ განუცდია. ერთ-ერთი მათგანია „მფრინავი ქართველი" გურამ კოსტავა.

გურამს ბევრი რეკორდი აქვს დამყარებული ფარიკაობაში. ნუ გაგიკვირდებათ, ფარიკაობაშიც არსებობს თავისებური რეკორდები. იტალიის ქალაქ ტურინში მის მიერ დამყარებული რეკორდი, საეჭვოა, რომელიმე მოფარიკავემ გააუმჯობესოს. ოცდაორი შეხვედრიდან კოსტავამ ოცდაერთის მოგება შეძლო! ეს შედეგი ჩვეულებრივ საერთაშორისო შეჯიბრებაში როდია ნაჩვენები. ლაპარაკია მსოფლიო ჩემპიონატის გუნდურ ასპარეზობაზე. სწორედ გურამის წყალობით შეძლო საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთა ნაკრებმა პირველად მოეპოვებინა მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

ანდა კიდევ ერთი ასეთი რეკორდი, არანაკლებ რთული და ძნელად მისაღწევი: სამჯერ მოიპოვა გურამმა მსოფლიო ჩემპიონატის პირად შეჯიბრებებში მესამე პრიზიორის წოდება. მანამდე ასეთი წარმატება არც ერთ დაშნით მოფარიკავეს არ მოუპოვებია.

შეიძლებოდა კიდევ გურამის რამდენიმე რეკორდის დასახელება, მაგრამ, ვფიქრობთ, ამჯერად ესეც საკმარისია.

დიდ მოფარიკავეს რკინისებური ნერვები უნდა ჰქონდეს. ხშირად მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს ორმოცამდე შეხვედრის ჩატარება უხდება. თუ სპორტსმენს საპრიზო ადგილის მოპოვების პრეტენზია არა აქვს, მისთვის ასეთი მარათონული ტურნირიც კი იოლი აღმოჩნდება. მაგრამ სცადეთ და წარმოიდგინეთ იმ ადამიანის განცდები, რომელიც ასეთი მასშტაბის ტურნირებში მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის და ერთხელ კი არა, არამედ მთელი ათი წლის მანძილზე. ამას დაუმატეთ რიგითი საერთაშორისო ტურნირები, საკავშირო შეჯიბრებები, რესპუბლიკის ასპარეზობანი — ყოველივე ეს გაამრავლეთ ყოველდღიურ ხანგრძლივ, მომქანცველ ვარჯიშზე და თქვენთვის ნათელი გახდება, რატომ უნდა ჰქონდეს ექსტრა-კლასის მოფარიკავეს რკინისებური ნერვები და ნებისყოფა.

ბევრმა ძლიერმა მოფარიკავემ ვერ გაუძლო ასეთ ფიზიკურ და ნერვიულ დატვირთვას და შედარებით ნაადრევად მიანება თავი სპორტს. ზოგმაც პრინციპული, უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრების შემდეგ ვეღარ გაუძლო კონკურენციას და საშუალო მოფარიკავედ იქცა. გურამ კოსტავას ასეთი რამ თავის დღეში არ დამართნია, მაგრამ მის მეტოქეებს კი...

სარბიელზე არიან იტალიელთა ფავორიტი პილიგრინი და საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი გურამ კოსტავა. ორივე მოფარიკავე მაღალი ადგილის მოპოვებაზე ფიქრობს. ამ ბრძოლაზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული. გამარჯვებულს გზა ეხსნება მეოთხედფინალისკენ. იტალიელი მხნედ და იმედიანად გრძნობს თავს, ოლიმპიური თამაშები ხომ მის მშობლიურ ქალაქში — რომში ტარდება. პილიგრინი იერიშზე გადადის, მაყურებელთა მხარდაჭერით გამხნევებული სასწაულებს სჩადის. 4:1 — პილიგრინის სასარგებლოდ. არა, ასეთ შედეგს არავინ მოელოდა, მაგრამ შეხვედრა ხომ ჯერ არ დამთავრებულა. ბოლოს და ბოლოს საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით გურამი იტალიელზე წინ დგას. მაგრამ შეიძლება საქმეს ეშველოს მაშინ, როცა პილიგრინის საბოლოო გამარჯვებას მხოლოდ ერთი ჩხვლეტა აშორებს, კოსტავას კი ოთხი. მოფარიკავეები მასზე ამბობენ, რომ გურამს უყვარს ბრძოლის გართულება, რთული ამოცანების შექმნა და ამოხსნა. მაგრამ ეს ჰგავს უფსკრულის პირზე სიარულს, მით უმეტეს რომში, მეტოქის ქალაქში.

როგორც ამ ბრძოლის მნახველები მოგვითხრობენ, დარბაზში ენით უთქმელი ღრიანცელი იდგა. მაყურებელი პილიგრინისგან მოითხოვდა ერთ, ერთადერთ ჩხვლეტას. როცა ანგარიში 4:4 გახდა, ტრიბუნებიდან საფარიკაო ბილიკზე ფორთოხლისა და ლიმონის ნაფცქვენების, კოლოფების სროლა დაიწყეს. საინტერესო მაინც ის არის, რომ თანამემამულეთა მსხვერპლი პილიგრინი გახდა. თუმცა გურამი რა შუაში იყო?

აი, ნიმუში, როგორი დათვური სამსახურის გაწევა შეუძლია ფანატიკურად განწყობილ მაყურებელს. თანამემამულეთა რეაქციამ ისე დააბნია რომაელი, რომ იგი უმწეო ბავშვს დაემსგავსა. მან ელვის სისწრაფით მიიღო მეხუთე ჩხვლეტა, მაგრამ დაბნეულს კიდევ კარგა ხნის მანძილზე არ დაუტოვებია საფარიკაო ბილიკი. არის წუთები, როცა მეტოქე შეგეცოდება, შეგებრალება. გურამს ბევრჯერ შესცოდებია მოწინააღმდეგეები.

რამდენი სპორტული მედალი, თასი, დიპლომი, პრიზი აქვს გურამ კოსტავას? მათი დათვლა სულაც არ არის იოლი. გურამს არც უცდია ჯერჯერობით ეს. მაგრამ ამ ჯილდოების დასაკუთრებას მან მოანდომა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები, დაუვიწყარი დღეები. მთელ ათ წელიწადს იყო უმკაცრეს სპორტულ რეჟიმში. მასზე უცნაურ ამბებს ჰყვებოდნენ. თუმცა რაღა შორს წავიდეთ, მე თვითონ კარგად ვიცნობ გურამს. ათი წლის მანძილზე მას არ მოუწევია თამბაქო. ალკოჰოლზე ლაპარაკიც ზედმეტია. თვით წყლის დალევაც კი მისთვის განსაზღვრული იყო. ერთადერთი, რაც მას თავისი თავისთვის არ აუკრძალავს, წიგნების კითხვა გახლდათ. წიგნებს კითხულობდა ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა: მატარებელში, თვითმფრინავში, სასტუმროში, ბრძოლის შუალედებშიც კი.

დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც გურამმა პირველი საერთაშორისო სპორტული ნათლობა მიიღო. იგი გამოდიოდა რომისა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში, ყველა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 1958 წლიდან 1968 წლამდე გაიმართა. მას ტაშს უკრავდა პარიზი და ლონდონი, მონრეალი და ფილადელფია, ბერლინი და ამსტერდამი, ტურინი და ტოკიო... წარმატება ყველგან მისი განუყრელი თანამგზავრი იყო.

თანამედროვე სპორტი, კერძოდ, ფარიკაობა საოცარი სისწრაფით ვითარდება. ყოველ წელს, ყოველ თვეს და დღესაც კი ახალ-ახალი ცვლილებები მოაქვს. გურამ კოსტავას ახლა საქმე აქვს არა მარტო ტრადიციულ მეტოქეებთან, არამედ ამ ორი წლის მანძილზე საფარიკაო ბილიკზე გამოსულ ნიჭიერ სპორტსმენებთანაც. ძნელია, ძალიან ძნელია მისთვის მათთან კონკურენცია. 36 წელი არც ისე ცოტაა მოფარიკავისთვის, თუმცა ფარიკაობას გაცილებით ხანდაზმულ ასაკამდეც მისდევენ.

ვიმეორებთ, რომ კოსტავასთვის ძნელი არ იყო საფარიკაო ელიტაში ყოფნა. სამწუხაროდ, მან მიატოვა დიდ სარბიელზე გამოსვლა. ასეა, ერთ მშვენიერ დღეს ყველა სპორტსმენი ეთხოვება თავის საყვარელ სახეობას.

**ბ. გოგელია,**
**სპორტის ოსტატი.**

• • •

სურათზე: გ. კოსტავა.
ბ. ქვათაძის ფოტო.

### საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

# ოცდათერთმეტიდან... სამი

თბილისში, სპორტკლუბ „განთიადის" დარბაზში გამართულ შეჯიბრებაში „ბურევესტნიკის", „განთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივისა" და „შრომითი რეზერვების" ტანმოვარჯიშეთა გუნდები ჩაებნენ. უკონკურსოდ გამოდიოდა ბაქოს კოლექტივიც.

ქალთა და ვაჟთა გუნდების გამოყვანა მხოლოდ „განთიადმა" და „ბურევესტნიკმა" შეძლეს, ამიტომაც საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ფაქტიურად მათ შორის გაჩაღდა. „სპარტაკსა" და „ლოკომოტივს" არ ჰყავდათ ვაჟთა, ხოლო „შრომით რეზერვებს" — ქალთა გუნდები.

მაინცდამაინც ბრწყინვალე მაჩვენებლებით ვერც „განთიადისა" და „ბურევესტნიკის" ვაჟთა კოლექტივები დაიქადნიან. „განთიადის" ვაჟთა გუნდი სპორტის ოსტატებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ვერც ქ. ლაშხმა (90,2 ქულა), ვერც ა. კულუმბეგაშვილმა (97,5) და ვერც ე. ექსუზიანმა (80,5) სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება ვერ შეძლეს.

ამ მხრივ ვალში არც ბურევესტნიკელი სპორტის ოსტატები ნ. ფაჩულია (76,9 ქულა), ვ. თანდილოვი (81,6) და კ. მამაცაშვილი (68,5) დარჩენილან. მათ ისევ „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებმა კ. სარქისოვმა (106,55), ზ. გეგეჭკორმა (103,55) და ნ. გარდავამ (99,5) აჯობეს, რომელთაც ოსტატთა პროგრამით შეჯიბრებაში სამივე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

ბევრი რამ სატრაბახო არც ქალებს აქვთ. სპარტაკიადაში სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთაგან ამ ნორმატივს საბოლოოდ მხოლოდ პრიზიორები შესწვდნენ: განთიადელებმა ვ. ვასილიევამ და ს. დუდამ მრავალჭიდში შესაბამისად 74,0 და 73,45 ქულა მოაგროვეს, მესამე პრიზიორმა მ. მონიავამ („ბურევესტნიკი") — 72,65.

მრავალჭიდში სპარტაკიადის სხვა მონაწილეებს უკონკურსოდ მოასპარეზეებმა: მ. კოპერიძემ (თბილისის განათლების განყოფილება — 72,4), ცხინვალელმა ა. შავლოხოვამ (72,2) და ზუგდიდელმა მ. მოსიამ (72,95) აჯობეს. აღარას ვამბობთ ბაქოელ სტუმრებზე ე. ხანანიევაზე (73,3) და ლ. მოხელინაზე (73,1), რომლებმაც აგრეთვე სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს.

„განთიადის" ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში 487,75 (ქალები — 219,55, ვაჟები — 268,2) ქულა მოაგროვა და „ბურევესტნიკს" 30,10 ქულით გაუსწრო. „შრომითი რეზერვები" ვაჟების მიერ მოგროვილი 309,6 ქულით III ადგილზე გავიდა.

ქალთა შორის სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით საუკეთესო შედეგი მოიპოვა ბაქოელმა ე. გურინამ — 73,1. განთიადელმა ლ. სოროკინამ მასთან 0,25 ქულა წააგო.

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზე ვაჟებში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ა. ცინცაძე („განთიადი") — 106,6. II ადგილი დაიკავა მ. ჯავახიამ — 98,95, III — ე. ჯაიანმა (ორივე — „ლოკომოტივი") — 98,1.

ცალკეულ იარაღებზე ფინალურ ბრძოლაში მხოლოდ ის სპორტსმენები დაუშვეს, ვინც საკმარისი ქულები მოაგროვა. ასეთი კი ძალიან ცოტა აღმოჩნდა. ვაჟთა შორის ეს უფლება საერთოდ ვერავინ მოიპოვა, ქალებმა კი პირველობა მხოლოდ ბჯენით ხტომაში, ძელზე და თავისუფალ ვარჯიშში გაითამაშეს.

ხტომა და ძელზე ვარჯიში მონიავამ მოიგო — 18,5 და 18,6 ქულა. თავისუფალ ვარჯიშში ყველას აჯობა ვასილიევამ — 18,5.

სარბიელზე გამოსული 31 სპორტის ოსტატიდან ამ წოდების შესაბამის შედეგს მხოლოდ სამმა მიაღწია. ეს აშკარად მეტყველებს, რომ სპორტსაზოგადოებებში მაღალი კვალიფიკაციის ტანმოვარჯიშეთა მომზადების დონე დაბალია. სპორტის ოსტატთა უმეტესობა სარბიელზე თავისი საზოგადოების წინაშე ვალის მოსახდელად გამოვიდა და საკმაოდ უღიმღამო შედეგებს დასჯერდა.

**ქ. ძიმისტარიშვილი.**

### [illegible]

#### ✦ ახალციხე

დამთავრდა რაიონის მოსწავლე ჭაბუკთა საჭადრაკო პირველობა, რომელშიც 21 ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს ქ. ნიკოშვილმა (მე-2 საშუალო სკოლა) და ხ. ხაჩატუროვმა (მე-3 საშუალო სკოლა). III ადგილი დაიკავა ვ. ფირსოვმა (მე-2 საშუალო სკოლა), IV — თ. ძამაშვილმა (1-ლი საშუალო სკოლა). დასახელებულ მოჭადრაკეებს მესამე თანრიგი მიენიჭათ.

**ვ. დათეგაშვილი,**
**პირველობის მსაჯი.**

#### ✦ თეთრი წყარო

თონეთის სასოფლო კლუბში დამთავრდა სოფლის მოჭადრაკეთა პირველობა. ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში 20 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა მუშა შ. ტატუაშვილმა, II — სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ა. გელაძემ, III — სახელოსნოს საწყობის გამგემ ვ. ტატუაშვილმა. ეს მოჭადრაკეები მანგლისის ზონალურ პირველობაში ითამაშებენ.

**ო. ბადალაშვილი,**
**პირველობის მსაჯი.**



უსიტყვოდ.

ვ. ქუციას ნახატი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# მოუთოკავი ნერვები

თბილისი. სპორტის სასახლე. 19 ნოემბერი.

ასკ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 73:68 (46:34).

ასკ: შალნევი (20), ხრამაევი (15), ნოვიკოვი (11), ეგოროვი (10), სუშაკი (7), ფილოზოფი (4), სალუხინი (4), ნესტეროვი (2), ოკიპნიაკი, ჩუგუნოვი, დერბენცევი.

„დინამო“: სიდიაკინი (13), სოკოლოვი (10), ხარჩენკოვი (8), გონჩაროვი (8), ავრაამოვი (8), სუხოვი (7), ბოლოშევი (6), ქიგილიი (4), ფედორიხოვი (3), სოლოგუბი (1).

მსაჯები: გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), ა. აგაფონოვი (ტალინი).

ცსკა — „სტროიტელი“ (კიევი) 79:78 (35:35).

ცსკა: ს. ბელოვი (21), ვ. კოვალენკო (20), დიაჩენკო (10), პეტრაკოვი (9), ედეშკო (9), მილოსერდოვი (6), კოვირკინი (4), ლუშჩენკო.

„სტროიტელი“: ს. კოვალენკო (21), სალნიკოვი (17), ტკაჩენკო (15), მარტინოვი (9), პოგულიაი (8), სმოლიაკოვი (8), შდრაკი, შემლიანუხინი.

მსაჯები: კ. გრიგალიუნასი (ვილნიუსი), ა. ნავასარდიანი (ერევანი).

თუ რამდენად დაძაბული იყო „სტროიტელისა“ და ცსკა-ს გადამწყვეტი მატჩი, კარგად ჩანს ერთი ასეთი ნიუანსიდან: თბილისის ტურის საუკეთესო ბომბარდირმა სალნიკოვმა პირველი ქულა თავის კოლექტივს მხოლოდ მე-19 წუთზე შესძინა.

ნერვები, ნერვები — ხშირად ეს ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს თანაბარი სიძლიერის მეტოქეთა ბრძოლაში და განსაზღვრავს გუნდის წარმატებათა თუ წარუმატებლობათა მრუდს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: არმიელმა ს. ბელოვმა მატჩის დასაწყისში 6 საჯარიმოდან 5 ვერ მოახვედრა მიზანს. ეს მართლაც საგანგებო შემთხვევაა ისეთი ოსტატისთვის, როგორიც ბელოვია.

მართალია, ნერვული დაძაბულობა შესამჩნევად ბოჭავს გუნდის შესაძლებლობებს და ხშირად გაუთვალისწინებელი მარცხის მიზეზიც ხდება, მაგრამ ეს ფაქტორი ყველაზე ერთნაირად როდი მოქმედებს. მატჩის დასაწყისში ჩინებულად გრძნობდნენ თავს კოვალენკოები — უკრაინელი სერგეი და მოსკოველი ევგენი. ისინი სხვებზე ეფექტურად ისროდნენ კალათში, გაბედულად იბრძოდნენ და პირველ წუთებში მდგომარეობის სრული ბატონპატრონები იყვნენ. სხვათა შორის, ბრძოლის წყურვილი ორივეს დიდხანს გაჰყვა და მხოლოდ პერსონალური შეცდომების სიმრავლემ შეწყვიტა ეს საინტერესო და მიმზიდველი დავა.

მატჩი პირველიდან ბოლო წუთამდე უაღრესად მძაფრი და შეუპოვარი იყო. შესამჩნევად დაწინაურება ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეძლო და ამიტომაც გაურკვეველი ჩანდა, ვის გაუღიმებდა საბოლოოდ ბედი. მეორე ტაიმის დასაწყისში მოედანი დატოვა უკრაინელმა კოვალენკომ. მართალი უნდა გითხრათ, ეს დანაკლისი საბედისწეროდ გვეჩვენა, მაგრამ განდევნილის ნაცვლად შემოსული ტკაჩენკო მალე ჩაერთო თამაშში და საიმედოდ დაიკავა თავისი უფროსი ამხანაგის ადგილი.

არმიელებმა ვერაფრით ვერ მოიკიდეს ფეხი „სტროიტელის“ ფარქვეშ. უფრო მეტიც, მათი გაუბედაობა და შეცდომები შეტევის ბოლო ფაზაში კიეველებს თამაშის გათანაბრების საშუალებას აძლევდა. ს. ბელოვმა, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში შესამჩნევად ღელავდა, თავისი საქმე მაინც გააკეთა. ვ. კოვალენკო ამ მატჩში, ჩვენი აზრით უძლიერესი, ბოლომდე შეუდრეკელი და შეურიგებელი დარჩა. სხვები ერთობ უთანაბროდ თამაშობდნენ. ერთი სიტყვით, არმიელებს აკლდათ ჩვეული ხელწერა.

ვერც „სტროიტელის“ კალათბურთელებმა გაართვეს თავი ნერვულ შოკს და ბევრი ხელსაყრელი მომენტი გაუშვეს ხელიდან.

მერე კი დადგა ის დრამატული მომენტი, რომელსაც შეეძლო მკვეთრად შეეცვალა საათნახევრიანი ბრძოლის სურათი. ცსკა-მ მე-40 წუთზე ფაქტიურად დაამთავრა თამაში. მან გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო მეტოქის კალათში (79:77) და საფინალო სასტვენის ხმას ელოდა, როცა... ერთ-ერთი არმიელი დაჯარიმდა და „სტროიტელმა“ ორი სროლის უფლება მიიღო. ორი ჯარიმა და ერთადერთი სათამაშო წამი. კიეველთა ბედი სალნიკოვის ხელთ იყო, რომელსაც შეეძლო ამ დრამატული ბრძოლის სიუჟეტი კიდევ ხუთი წუთით გაეგრძელებინა, მაგრამ... რომ იტყვიან, საქმეში ისევ ნერვები ჩაერია და საჯარიმო სროლის დიდოსტატმა პირველივე ბურთი ააცდინა მიზანს.

მაგრამ ყველაზე გაუგებარი, უფრო სწორად, აღმაშფოთებელი რამ მერე მოხდა. ერთბაშად აირია მონასტერი და კალათბურთის მოედანი კრივის ასპარეზს დაემსგავსა. აი, აქ კი არმიელმა სპორტსმენებმა მართლაც გამოიჩინეს თავი და უმოწყალოდ გაუსწორდნენ მეტოქეებს, კერძოდ კი პოგულიაის. ჩხუბის გამომწვევი მიზეზებით ჩვენ არც დავინტერესებულვართ. ამას ალბათ სხვა ინსტანციები გაარკვევენ. ფაქტი კი ისაა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონმა თავისი არასპორტული საქციელით მაყურებელი გააოცა.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა კიევის არმიელთა და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრაზე. კიეველებმა უფრო ძლიერად, ენერგიულად და მონდომებით ითამაშეს და მიზანსაც მიაღწიეს. საეჭვო იყო მხოლოდ ამ მატჩის ბოლო წუთები. მაგრამ არმიელებს ეყოთ საბრძოლო სული და კარგად დააგვირგვინეს ორმოცწუთიანი უპირატესობა.

ნ. გუგუშვილი.

## მაინც წააგეს პირველი ქულა

ტალინი, 19 ნოემბერი. დაძაბული გამოდგა ლენინგრადის „სპარტაკისა“ და ტარტუს „კალევის“ მატჩი. ნევისპირელებმა ტაიმი 10 ქულის უპირატესობით მოიგეს — 41:31. შესვენების შემდეგ მასპინძლები უფრო აქტიურად თამაშობდნენ, მაგრამ ბრძოლა მაინც წააგეს — 60:67.

ბოლოს და ბოლოს ქულა აიღო კაუნასის „ჟალგირისმა“: დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა რიგის არმიელთა კოლექტივი — 87:83 (45:40).



## გათამაშების ცხრილები

### ტალინის ტური

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 4 | 4 | 0 | 301—245 | 4 |
| „კალევი“ | 4 | 3 | 1 | 327—284 | 3 |
| რტი | 4 | 2 | 2 | 298—319 | 2 |
| „ჟალგირისი“ | 4 | 1 | 3 | 295—313 | 1 |
| ასკ (რიგა) | 4 | 0 | 4 | 300—360 | 0 |

### თბილისის ტური

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 4 | 0 | 372—321 | 4 |
| „სტროიტელი“ | 4 | 3 | 1 | 315—287 | 3 |
| ასკ (კიევი) | 4 | 2 | 2 | 291—310 | 2 |
| „დინამო“ (თბ.) | 4 | 1 | 3 | 313—331 | 1 |
| „დინამო“ (მოს.) | 4 | 0 | 4 | 300—342 | 0 |

• • •

**სურათებზე:** მსაჯმა გ. მუხამეძიანოვმა დააჯარიმა ვ. ოკიპნიაკი (ასკ). მარცხნივ ხედავთ მოსკოვის დინამოელ ა. სიდიაკინს, მარჯვნივ — ა. შალნევს (ასკ); ორი ცენტრალური თავდამსხმელის — არმიელი ნ. დიაჩენკოს (ბურთით) და კოვალენკოს („სტროიტელი“) ბრძოლა. ამჯერად გამარჯვება მოსკოველს დარჩა.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



მოდა რომ გადამდები სენია, ყველამ ვიცით. მას მთელი სამყარო აქვს დაპყრობილი და, როგორც ამ სურათიდან ხედავთ, არც სპორტისთვის აუვლია გვერდი.

ასეთი საჩოგბურთო „ალკაზმულობით“ თამაშობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ავსტრალიაში, ინგლისში და საფრანგეთში, ჰოლანდიაში და იტალიაში, რუმინეთში და ინდოეთში...

იუნაიტედ პრესის ფოტო.

## სამერმისო გეგმები

პრაღა, 19 ნოემბერი. აქ მუშაობა დაასრულა ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურის კავშირის IV ყრილობამ. მიღებულ რეზოლუციაში განსაზღვრულია მასობრივი სპორტის მთავარი ნიმართულებები, რესპუბლიკის სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომი ზრდისა და ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის ამოცანები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა.

## „მარცხის“ მოლოდინში

ფერგანა, 19 ნოემბერი. უზბეკეთის ამ ქალაქის მახლობლად გაიმართა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და დოსააფის სპორტსმენ-პარაშუტისტთა საკავშირო შეჯიბრება. ლ. კორიჩევა ზედიზედ ოთხჯერ დაეშვა წრის ცენტრში. მეხუთედ ცენტრიდან გადახრა 4 სანტიმეტრი იყო. ამის შედეგად სპორტსმენმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მართალია, ვ. ზაკორეცკაია იმავე დღეს ზედიზედ ექვსჯერ დაეშვა ზუსტად. ახლა მას ელის მეშვიდე ნახტომი, შეიძლება მერვეც, მეცხრეც კი, პირველ „მარცხამდე“. მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, ზაკორეცკაიამ უკვე აჯობა კორიჩევას.

მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჯგუფმა ვ. გლადილოვის, ი. ბარანოვის, ა. პარფიონოვის, ვ. ალექსეევის, ნ. უშმაევისა და გ. ხაპკინის შემადგენლობით. დაშვების სიზუსტეზე ხტომის დროს ექვსივე ორჯერ დაეშვა წრის ცენტრში, მესამე ცდაზე კი მარტო ერთს მოეცარა ხელი: გადახრამ 7 სმ შეადგინა.

იმავე პარაშუტისტებმა ვ. მახნორილოვთან, ე. ესკენდეროვთან, ბ. ლეონოვთან და ვ. ტარასოვთან ერთად შეასრულეს რთული კომბინირებული ჯგუფური ნახტომი. ამჯერად ისინი შვეულმფრენიდან გადმოხტნენ და 26,6 წამში შეკრეს წრე, რაც ახალი საკავშირო რეკორდია.

სიმაღლე ყველა ნახტომის დროს 2000-დან 600 მეტრი იყო.

(საკდესი).

## ფინალური ეტაპი ნოტინგემში

ბრიტანეთში მიმდინარეობს ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც რამდენიმე ეტაპადაა დაყოფილი (ყოველი ეტაპი სხვადასხვა ქალაქში ტარდება) და თვეზე მეტ ხანს გრძელდება. შეჯიბრებაში მონაწილეობს ბევრი ცნობილი ჩოგბურთელი, მაგალითად, ვაჟებიდან — ილიე ნასტასე (რუმინეთი), ტომ ოკერი (ჰოლანდია), ჟან-ბატისტ შანფრო (საფრანგეთი), ავსტრალიელები ოუენ დევიდსონი და ბერი ფილიპს-მური, ინგლისელი როჯერ ტეილორი, ამერიკელი ჯიმ კონორსი; ქალებიდან — ვირჯინია უეიდი (დიდი ბრიტანეთი), ჯული ჰელდმანი (აშშ) და კიდევ ბევრი სხვა.

ფინალური ეტაპი ნოტინგემში (ინგლისი) ეწყობა. გაიმართა ამ გადამწყვეტი ეტაპის პირველი შეხვედრები. 20 წლის კალიფორნიელმა ბობ კრეისმა მოუგო სამხრეთამერიკელ ფრიუ მაკმილანს — 6:3, 6:4. კონორსმა დაამარცხა ჯერალდ ბატრიკი — 6:1, 6:3, ხოლო ნასტასემ აჯობა შანფროს — 6:3, 6:4. ოკერმა მოუგო 35 წლის ფილიპს-მურს — 3:6, 6:2, 6:4.

გამარჯვებულის პრიზი 20 ათასი გირვანქა სტერლინგია.

(საქ. ინფ.).

## ტიტულები რას მიქვია!

ვილნიუსი, 19 ნოემბერი. ლიეპაიის დინამოელმა, 20 წლის მძიმეწონოსანმა პ. ზაევმა სსრ კავშირის ჩემპიონატიდან „გააგდო“ ევროპის ექს-ჩემპიონი, ორენბურგის არმიელი ვ. ჩერნიშოვი. ზუევი თავის ტიტულოვან მეტოქეს გამოცდილებაში, სიმაღლესა და წონაში ჩამოუვარდებოდა, მაგრამ სამივე რაუნდის განმავლობაში დიდი ჟინი გამოავლინა და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

ჩერნიშოვის ბედი გაიზიარა სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა, მოსკოვის არმიელმა ა. ვასიუშკინმაც, რომელმაც ვლადივოსტოკელ თანაკლუბელთან ვ. ალექსეევთან დაყარა ფარ-ხმალი.

მძიმეწონოსანთა ორთაბრძოლები ხშირად ბლიცტურნირს გვაგონებდა: ათი შეხვედრიდან ნახევარი ვადამდე დამთავრდა და თითქმის ყოველი მესამე — უკვე პირველ რაუნდში. ნოკდაუნში აღმოჩნდა... რინგიც: მან თოკებზე გადაწოლილი ჩერნიშოვის წონას ვერ გაუძლო და დაინგრა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02823